ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7312538

ნომერი: AR11062507

თარიღი : 22.10.2024

გაცემის თარიღი : 10.12.2024

გაცნობის თარიღი : 10.12.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 77კ; ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 77კ; ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 77კ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 სექტემბრის №7221357 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024

წლის 22 ოქტომბერს №AR11062507 განცხადებით მომართა მარიამ პაპუკაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 18 სექტემბრის №7221357 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 18 სექტემბრის №7221357 ბრძანებით შეთანხმდა, №01.14.15.001.189 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული მრავალფუნქციური კომპლექსის (ს/კ: №01.14.15.001.189.01.05.003; ს/კ: №01.14.15.001.189.01.03.007) რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით, აღარ არსებობს სამსახურის 2024 წლის 18 სექტემბრის №7221357 ბრძანებით შეთანხმებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ინტერესი და აქედან გამომდინარე, ითხოვს აღნიშნული ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას. ამასთან, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ფოტომასალით დგინდება, რომ შეთანხმებული ბრძანების საფუძველზე, სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები არ არის განხორციელებული.
საჯარო რეესტრის ამონაწერების (განცხადების რეგისტრაციის ნომრები: 892024191606, 892024191519 მომზადების თარიღი: 16/08/2024 წ.) თანახმად, №01.14.15.001.189.01.03.007 და №01.14.15.001.189.01.05.003 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „აიქეიჯი ესთეითს“ (ს/წ: 404723073), მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B24109422, მომზადების თარიღი: 30/08/2024 წ.) თანახმად შპს „აიქეიჯი ესთეითსის“ ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს იგორს ჩისტიაკოვს (№030288-10317, LV6928087). ხოლო, მის მიერ 2024 წლის 22 აგვისტოს გაცემული №241090940 მინდობილობით დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
განგიმარტავთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების მიხედვით, ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ამასთან, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.
"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს სამსახურის 2024 წლის 18 სექტემბრის №7221357 ბრძანება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. დაკმაყოფილდეს მარიამ პაპუკაშვილის 2024 წლის 22 ოქტომბრის №AR11062507 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 სექტემბრის №7221357 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.